სსკგ-ს თავმჯდომარის ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის გამოსვლა მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერების VII ყრილობის გახსნაზე

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი სიტყვით გამოვიდა მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერების VII ყრილობის გახსნაზე, რომელიც 2022 წლის 14-5 სექტემბერს ყაზახეთის დედაქალაქში იმართება:

თქვენო აღმატებულებავ,
ღრმად პატივცემულო ყასიმ-ჟომართ ქემელის ძევ!

თქვენო უწმინდესობავ!

თქვენო უნეტარესობავ!

მაღალპატივცემულო რელიგიურო ლიდერებო, პატივცემულო მონაწილენო!

დღეს ყაზახეთის რესპუბლიკამ უკვე მეშვიდედ მოგვიწვია შესაკრებად თავის სტუმართმოყვარე დედაქალაქში, რათა შევძლოთ, ვილაპარაკოთ, მთელი კაცობრიობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, გავუზიაროთ ერთმანეთს აზრები და შეხედულებები, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „თვალი თვალში“ გავესაუბროთ ერთმანეთს. კორონავირუსული ინფექციის პანდემიამ, რომელმაც მთელი დედამიწა მოიცვა, გამოაჩინა ჩვენი კოლექტიური მოწყვლადობა განსაცდელების წინაშე, გვაიძულა, ახლებურად შეგვეხედა ხალხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფორმატზე. ჩვენ ხშირად დაუსწრებელი ურთიერთობები გვაქვს, პირადი შეხვედრები კი ერთგვარ პრივილეგიად იქცა. პანდემია – ეს არის გამოწვევა მთელი მსოფლიოსთვის, მთელი კაცობრიობისთვის, მან აჩვენა საზოგადოებებისთვის რელიგიის მნიშვნელობა. რელიგიური მოღვაწენი ყოველთვის აერთიანებდნენ ადამიანებს თემებში და მსხვილ რელიგიურ ორგანიზაციებში. რელიგიათაშორისო ფორუმის ამოცანაა – დავძლიოთ რელიგიური განყოფები და შევძლოთ, განვახორციელოთ ერთობლივი ქმედებები ბარიერებს მიღმა, რომლებიც ყოფენ ჩვენს ტრადიციულ რელიგიებს. ეს არ ეხება ჩვენს სარწმუნოებას ან დოგმატებს, საუბარია ჩვენს როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი დაპირისპირებები სულ უფრო და უფრო იპყრობენ პრაქტიკულად მთელს მსოფლიოს. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, ვაშენოთ ისეთი სამყარო, სადაც არ იქნება პირველი და მეორე ხარისხის ადამიანები, არ იქნება ჰეგემონები და სატელიტები; იქნება უზენაესი ღმერთისგან ბოძებულ ზნეობრივ ფასეულობებზე დაფუძნებული მშვიდობა.

მინდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მადლობა გადავუხადო ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, რომლებმაც მიუხედავად ობიექტური სიძნელეებისა, იპოვეს შესაძლებლობა შეეკრიბეთ ამ დღეებში ჩვენ აქ ყველანი და საშუალება მოეცათ ნამდვილი ძმური ურთიერთობისა. ბოლო დროის მოვლენებმა აჩვენეს ინფორმაციული იარაღის რეალური ძალა. ჩვენ ყველამ ვიხილეთ, თუ როგორ იოლად შეიძლება ინფორმაციულ სივრცეში შექმნა მტრის ხატი, მასზე თითით აჩვენო და სიძულვილი გამოიწვიო ყველაფრის მიმართ, რაც მას უკავშირდება.

მსოფლიო საზოგადოება ამჟამად ურთულეს პერიოდს გადის. პოლარიზაცია ცალკეულ სახელმწიფოებს შორის და ძალების გლობალური ცენტრები მძლავრი გახდა როგორც არასდროს. ფრიად აშკარა გახდა მასობრივი შიმშილობის მუქარა, გლობალური კონფლიქტის მუქარა და ბირთვული კატასტროფის მუქარაც კი. დღეს პასუხისმგებლობა ადამიანთა ხვედრისთვის, მათი ზნეობრივი მდგომარეობისთვის ჩვენი, რელიგიური ლიდერების, კისერზეა. ისტორიულად ისე მოეწყო, რომ რწმენა ყოველთვის ერთადერთ ბარიერად რჩებოდა, რომელიც კაცობრიობას ქაოსსა და ანარქიას აშორებს. კაცობრიობის ყველაზე რთულ პერიოდში ადამიანები დახმარებისთვის ღმერთს მიმართავდნენ, იმიტომ, რომ სხვა იმედი მათ აღარ რჩებოდათ. ჩვენი ამოცანა, როგორც რელიგიური ლიდერებისა, ადამიანების შეგონებაა, მათთვის იმედის და ნუგეშის მიცემაა, ღმერთთან და ერთმანეთთან შერიგებაა.

მასობრივი კულტურის პარადიგნა, რომელიც უკანასკნელ დროს სეკურალური და ათეისტური ცნობიერების დამცველები გვთავაზობდნენ, ცხადია, კრახს განიცდის. ღირებულებათა ამ სისტემაში ყველაფერი მოწყობილია კაცის თაყვანისცემაზე როგორც უმაღლეს არსებაზე. ამას მოჰყვება მისი სურვილების, ვნებებისა და მანკიერებების თაყვანისცემა. ეგოცენტრიზმის კულტი ქორწინების, ოჯახის, უფროსებისადმი პატივისცემის გამორეცხვას იწვევს. მას მოსდევს ადამიანური სიბილწეების ამაღლება და ჯანსაღი საზოგადოების იმ ფასეულობების დევიაცია, რომლებიც შემოქმედისგან იყო შთაგონებული და ათასწლეულების მანძილზე – შენარჩუნებული.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დღევანდელი მოვლენები მსოფლიო არენაზე, მათ შორის შიმშილობისა და მსოფლიო ომის მუქარები – ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური სიბილწეების წაქეზების შედეგი. მოდით, დავსვათ შეკითხვა: რატომ აწუხებს მსოფლიო საზოგადოებას ასე ნაკლებად ვითარება ე.წ. „მესამე სამყაროს ქვეყნებში“? რატომ დუმან ისინი, ვინც საზოგადოებრივ აზრს აყალიბებენ, ქრისტიანების დევნაზე აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, შიმშილის მუქარაზე ღარიბ ქვეყნებში? რატომ არ არის სერიოზული დამოკიდებულება ტერორიზმისა და ექსტრემიზმის პრობლემების მიმართ, რომლებიც დიდ გასაქანს პოულობს კრიზისებისა და რყევების დროს? ვიმედოვნებ, რომ ფორუმის მონაწილენი შეძლებენ, განიხილონ, ბევრი მწვავე და უხერხული საკითხები, რომლებსაც დღევანდელი დღე გვიყენებს.

რა თქმა უნდა, ყველა ამ გამოწვევაზე პასუხი შეუძლებელია მივიღოთ ფართო დიალოგის გარეშე რელიგიურ ლიდერებს შორის, ერთმანეთის მოსმენის გარეშე. ამიტომ რელიგიების დიალოგი, რელიგიური განათლების ფართო გავრცელება, მორწმუნეთა შეკრულობა მორალური საფუძვლების ირგვლივ –– ეს საუკეთესო პასუხია თანამედროვეობის გამოწვევებზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არ დაგვავიწყდეს, რომ რელიგია პოლიტიკურ საზღვრებს მიღმაა. ნებისმიერი რელიგიური ტრადიცია ზრუნავს ადამიანის როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მშვიდობისთვის. ადამიანს, რომელიც არ იმყოფება მშვიდობაში ღმერთთან და საკუთარ თავთან, ვერც სხვა ადამიანებთან ექნება მშვიდობიანი ურთიერთობა. მე აქ მინდა ქრისტეს სიტყვები გაგახსენოთ: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და მთავარი მცნება. და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“ (მთ. 22:37-40).

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მეთაურის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს სახელით ყრილობის ყველა მონაწილეს ვუსურვო წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

მადლობელი ვარ ყურადღებისთვის.

.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89632/